№ 19-20 „30“ სექტემბერი 2020 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის დროს, გავლენა მომიჯნავედ არსებულ შენობა ნაგებობების შესახებ

სადეონტაჟო შენობების ტერიტორიის ზოგადი აღწერა:

სადემონტაჟო შენობების ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კობარეთის ქუჩა N1-ში. (იხ. ს.კ. N 01.17.13.001.365, რომელზეც განთავსებულია საკადასტრო ნომრით 4 შენობა ნაგებობა, რომელთაგან დემონტაჟი უნდა ჩაუტარდეს შენობა N1-ს და N2-ს) აღნიშნულ საკადასტრო საზღვარს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ა.ზურაბაშვილის ქუჩა. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს.კ-ით N 01.17.13.001.379. რომელზეც განთავსებულია ერთ და ოთხ სართულიანი შენობა-ნაგებობა. სამხრეთიდან ესაზღვრება ორი მიწის ნაკვეთი ს.კ-ით N 01.17.13.001.366; N 01.17.13.001.082. რომელზეც განთავსებულია ერთ სართულიანი შენობა-ნაგებობები. დასავლეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს.კ-ით N 01.17.13.001.014. რომელზეც განთავსებულია ერთ და სამ სართულიანი შენობა-ნაგებობები.



გავლენა მომიჯნავედ არსებულ შენობა-ნაგებობებზე:

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები ერთ სართულიანებია (იხ. ს.კ. N 01.17.13.001.365, საკადასტრო ნომრით შენობა N1 და N2) რომლის დემონტაჟის დასკვნა გაცემულია სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობებთან (შენობა N1) ყველაზე ახლოს განთავსებულია იგივე საკადასტრო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა N3, რომელიც წარმოადგენს ერთ სართულიან შენობა ნაგებობას, ფარდულის ტიპის, ნაშენი ნაწილობრივ ფოლადის და ბლოკის კედლის წყობით. სახურავის ფოლადის პროფილურ ელემენტებზე მოწყობილი, ბურულის მასალა თუნუქის ფურცლები. შენობა N3 მოშორებულია სადემონტაჟო შენობას მიახლოებით 1 მ. მანძილით. ხოლო შენობა N4 მოშორებულია დაახლოებით 14 მ-ით.

დასავლეთიდან მდებარე ს.კ. 01.17.13.001.014-ზე მდებარე შენობა N3 მოშორებილია სადემონტაჟო შენობიდან დაახლოებით 14 მ-ით, ხოლო შენობა N4, რომელიც შენობის კუთხით ესაზღვრება სადემონტაჟო შენობა N1-ს ერთ სართულიანია, ნაშენი მსუბუქი კონსტრუქციებით (ფოლადის პროფილური ელემენტებით და შეფუთულია თუნუქის ფურცლებით). აღნიშნული შენობის კუთხე მოშორებულია სადემონტაჟო შენობა N1-ს დაახლოებით 1 მ-ით.

ს.კ. 01.17.13.001.027-ზე მდებარე შენობა ნაგებობა მოშორებულია დაახლოებით 45 მ-ით, ხოლოს ს.კ. 01.17.13.001.082-ზე მდებარე შენობა ნაგებობა მოშორებულია დაახლოებით 6 მ-ით,

სადემონტაჟო შენოაბა ნაგებობების (შენობა N1; N2) დემონტაჟი უნდა განხორციელდეს დემონტაჟის ორგანიზების პროექტის მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ სადემონტაჟო შენობას არ აქვს კონსტრუქციული კავშირი მომიჯნავედ არსებულ შენობა ნაგებობეთან და იმყოფებიან მოცილებული სადემონტაჟო შენობებიდან, მათი დემონტაჟი არ გამოიწვევს ზემოთ განხილული მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობებზე უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას.

ინჟინერ-კონსტრუქტორი შალვა მდინარაძე
shako.mdinaradze@gmail.com
557 270 270

30.09.2020 წ.

3004587420

მიღება-ჩაბარების აქტი № 3004587420

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	07/08/2020

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1004954220	მომსახურების ტიპი:	დაჩქარებული
რეგისტრაციის თარიღი:	03/08/2020	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:	2000827620	ხელშეკრულების თარიღი:	03/08/2020 - 10/08/2020
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	004568720		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	ზაზა ალავერდაშვილი
პირადი ნომერი:	01002022260
ორგანიზაცია:	შპს საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი:	211752021
თანამდებობა:	წარმომადგენელი (მინდობილობით)
დოკუმენტის შემომტანი:	ზაზა ალავერდაშვილი

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო (დაჩქარებული) მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)	თანხა
135. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	500*2	1000
		ჯამი:	1000.00
		საბოლოო ფასი:	1000.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):		
ანატოლი გოგოხია		
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი		

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



ახორციელებს სხელფასოვან დამოუკიდებელ საექსპერტო მომსახურებას:

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური, ტახეოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- ხელისუფლი და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა; სასაქონლო ექსპერტიზა;
- ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- საინჟინრო ექსპერტიზა;
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- ჯვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ისტოლოგიური ექსპერტიზა;
- ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური);
- ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- კომპიუტერული ექსპერტიზა.

ლაბორატორიებში დასაქმებულია გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხს და ბიუროს სახელით სასამართლო პროცესებზე თავად იცავენ გაკეთული დასკვნების ჭეშმარიტებას. ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამკვეთების მოთხოვნათა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებას და კიდევ უფრო აძლიერებს ბიუროს ავტორიტეტს მომხმარებელთა შორის.

ექსპერტთა მაღალი პროფესიონალიზმი და ობიექტურობა ჩვენში სიმართლის გრძნობას ინარჩუნებს. ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა და დავიმსახუროთ მათი პატივისცემა და ნდობა.

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5004480820
07/08/2020 წ.

5004480820

შპს „საქართველო“-ს წარმომადგენელს
(მინდობილობით) ბნ ზაზა ალავერდაშვილს

(საქართველო, ქალაქი თბილისი,ბუდაპაშტის Iბ)

ბატონო ზაზა,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2020 წლის 3 აგვისტოს რეგისტრაციის N1004954220) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N004568720 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 11 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ გამყრელიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

5004480820

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____
(ხელმოწერა) ბ.ა

თარიღი 07.08.2020წ.

004568720

ექსპერტის დასკვნა № 004568720

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს საქართველო

თანამდებობა: წარმომადგენელი (მინდობილობით)

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი,ბუდაპაშტის Iბ

სახელი და გვარი: ზაზა ალავერდაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ანატოლი გოგოხია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 48 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, დაჩქარებული წესით ჩაგვიტაროთ ჩვენი ფირმის კუთვნილი შენობის ტექნიკური ექსპერტიზა და დაგვიდგინოთ ობიექტის ავარიულობის ხარისხი. ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში კობარეთის ქუჩა #1-ში.

შემოსვლის თარიღი: 03/08/2020 წ

გასვლის თარიღი: 07/08/2020 წ

დასკვნა

ქ. თბილისში კობარეთის (ავლიპ ზურაბაშვილის) ქუჩა #1-ში მდებარე, შპს „საქართველო“-ს კუთვნილებაში არსებული ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მზიდ კედლებში, ტიხრებში და ხის კონსტრუქციებში განვითარებული დეფორმაციები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობით: საძირკვლების ჯდენითი დეფორმაციებით; ნაგებობის დიდი ხნის მანძილზე ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდში მომხდარი მრავლობითი, სხვადასხვა ინტენსიურობის მიწისძვრების ზემოქმედებით; ასაკობრივი ცვეთით. შენობა დაზიანებათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით შეფასებულია მესამე ხარისხში. ასეთ ხარისხში დაზიანებული შენობის საექსპლუატაციო მედეგობა საგრძნობლად დაქვეითებულია და ექვემდებარება გამაგრება-გაძლიერებას. შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭირო იქნება დეტალური გამოკვლევის საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით მოხდეს მისი აღდგენა-გაძლიერება, რაც ჩვენის აზრით არარენტაბელური იქნება. ამიტომ მისი შემდგომი ექსპლუატაცია არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

ანატოლი გოგოხია

გამოკვლევა

2020 წლის 04 აგვისტოს ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში კობახიძის (ავლიპ ზურაბაშვილის) ქუჩა #1-ში მდებარე, შპს „საქართველო“-ს კუთვნილებაში არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ორსართულიანი შენობა აშენებულია 1960 წელს, რომელზეც 1970 წელს განხორციელდა მარცხენა გვერდითი ფასადის მხრიდან შენობის მთელ სიგანეზე ორი სართულის (სარდაფით) მიშენება. შენობა დაფუძნებულია სწორ რელიეფზე. გეგმაში რუსული ასო Г-ს ფორმისაა. საერთო გაბარიტული ზომებია 24.4x7.4, 13.6x10.2 მ. სართულების სიმაღლე სარდაფის 2.45 მ. პირველი და მეორის 2.75 მ. საძირკვლები ლენტურია, ბეტონისაგან. კაპიტალური კედლები, ძირითად შენობაზე, ამოყვანილია წითელი აგურის წყობით ქვიშა-ცემენტის დუღაბზე, სისქით 38 სმ. მიშენებულ ნაწილში კედლები შესრულებულია დიდი ზომის ბეტონის ბლოკების წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. პირველი სართულის და სასხვენო გადახურვები განხორციელებულია ხის კონსტრუქციებით. მიშენებულ ნაწილში სართულშუა გადახურვები გადაწყვეტილია რკ/ბეტონის ღრუტანიანი ანაკრები ფენილებით. შენობას სახურავის დონეში გააჩნია ანტისეისმური სარტყელი. მეორე სართულზე ასასვლელი შიდა კიბის კონსტრუქცია შესრულებულია ანაკრები საფეხურებით ლითონის ჩანებზე. სახურავი ხის ნივნივებზეა მოწყობილი კრამიტის ბურულით (ფოტო 1).

ვიზუალური შესწავლით დადგინდა, რომ შენობის უკანა და გვერდით ფასადებზე მოწყობილი სარინელის სისტემა მოშლილია (ფოტო 2-:-4), რის გამოც წლების განმავლობაში, ატმოსფერული ნალექები ჩაედინება გრუნტში, რაც იწვევს საძირკვლის ქვეშ გრუნტის გაწყლიანებას. გარდა ამისა, დამკვეთის ინფორმაციით კობარეთის ქუჩის რეაბილიტაციის შემდგომ (ასფალტის საფარი აწეულია), უხვი ატმოსფერული ნალექების (წვიმის სახით) დროს ეზოს ტერიტორია იტბორება, რაც იწვევს შენობის პირველ სართულზე წყლის შემოდინებას (ფოტო 5; 6). რამაც გამოიწვია შენობის საძირკვლების გაწყლიანება. პირველ სართულზე კედლები გარე ფასადზე დანესტიანებულია. ბევრგან ბათქაშის ფენა აშრევებულია, გაჩენილია როგორც ჰორიზონტალური ისე დახრილი დიდი გახსნილობით ბზარები (ფოტო 7-:-10). შიდა სივრცეში ფიქსირდება მთელი რიგი ხარვეზები, კერძოდ: პირველ სართულზე მარჯვენა ტორსულ ფასადზე მდებარე ოთახებში, მიუხედავად იმისა, რომ გარემონტდა, კედლები ისევ დანესტიანდა, გაჩენილია სხვადასხვა მიმართულების ბზარები (ფოტო 11-:-16). განსაკუთრებით საფრთხის შემცველია კიბის უჯრედთან მდებარე ძირითადი და მიშენებული ნაწილის მზიდი კედლები (ფოტო 17-:-22). მეორე სართულზე ოთახები, როგორც ძირითად ისე მიშენებულ ნაწილში, ცუდ მდგომარეობაშია. მის მზიდ კედლებში და ტიხრებში ფიქსირდება დაზიანებები ბზარების სახით (ფოტო 23-:-28). სახურავის დაზიანებული საფარის გამო ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად დაზიანებულია ჭერი და იატაკი (ფოტო 29-:-32).

შემოწმებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შენობა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა: განივ კედლებს შორის მანძილი აღემატება სეისმური ნორმებით [1] დასაშვებ 9.0 მ-ს. მუხლი 15, პარ. 12. არსებული დეფორმაციები პროგრესირებადი ხასიათისაა და მოსალოდნელია დაზიანების ხარისხის გაზრდა, რაც საფრთხის შემცველია განსაკუთრებით სეისმური ძვრის შემთხვევაში. დაზიანებები და ბზარები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობით: საძირკვლების ჯდენითი დეფორმაციებით; ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით. ასევე ასაკობრივი ცვეთით. შენობას დაზიანებათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით აღენიშნება მესამე ხარისხის დაზიანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ქ. თბილისში კობარეთის (ავლიპ ზურაბაშვილის) ქუჩა #1-ში მდებარე, შპს „საქართველო“-ს კუთვნილებაში არსებული ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მზიდ კედლებში, ტიხრებში და ხის კონსტრუქციებში განვითარებული დეფორმაციები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობით: საძირკვლების ჯდენითი დეფორმაციებით; ნაგებობის დიდი ხნის მანძილზე ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდში მომხდარი მრავლობითი, სხვადასხვა ინტენსიურობის მიწისძვრების ზემოქმედებით; ასაკობრივი ცვეთით. შენობა დაზიანებათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით შეფასებულია მესამე ხარისხში. ასეთ ხარისხში დაზიანებული შენობის საექსპლუატაციო მედეგობა საგრძნობლად დაქვეითებულია და ექვემდებარება გამაგრება-გაძლიერებას. შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭირო იქნება დეტალური გამოკვლევის საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით მოხდეს მისი აღდგენა-გაძლიერება, რაც ჩვენის აზრით არარენტაბელური იქნება. ამიტომ მისი შემდგომი ექსპლუატაცია არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

ანატოლი გოგოხია

გამოყენებული მასალები

1. სნწ. პნ. 01.01-09 “სეისმომედეგი მშენებლოობა“
2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

004568720

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი



ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია



004568720

ექსპერტის დასკვნა № 004568720

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29



ფოტო 30



ფოტო 31



ფოტო 32